თამარ აბაკელიას შემოქმედების საწყისი ეტაპის დახასიათება მოქანდაკის სადღიურო ჩანაწერების მიხედვით

სოფიო პაპინაშვილი

საკვანძო სიტყვები: *თამარ აბაკელია, ქანდაკება, მხატვრობა, საბჭოთა, ხელოვნება, შემოქმედება*

თბილისის სამხატვრო აკადემიაში ქანდაკების ფაკულტეტი 1922 წლიდანვე გაიხსნა. მისი ხელმძღვანელი იაკობ ნიკოლაძე იყო. პირველივე წელს ჩააბარეს შემდეგში ისეთმა ცნობილმა მოქანდაკეებმა, როგორებიც არიან გიორგი სესიაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ნინო წერეთელი. განცალკევებით უნდა აღვნიშნოთ თამარ აბაკელია, რომელიც სწავლობდა იაკობ ნიკოლაძის კლასში, თუმცა სამხატვრო აკადემიაში ჩააბარა 1924 წელს და სწავლა დაასრულა 1930 წელს.[1] იგი ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა და ვერ მოასწრო დიდხანს ემსახურა საყვარელი პროფესიისათვის.

თამარ აბაკელიას მხატვრობისადმი ინტერესი ბავშვობის ასაკიდანვე იწყება, თუმცა მუდმივად წუხდა იმაზე, რომ ყველაზე დიდი სურვილი რაც ჰქონდა, ხატვისთვის მიეძღვნა თავი, არ გამოსდიოდა. მისი პირადი საქმიდან გამომდინარე ვხვდებით, თუ რა რთული და შრომატევადი გზა გაიარა მოქანდაკემ ბავშვობიდან მოყოლებული პროფესიონალად ჩამოყალიბებამდე. მისი დღიური ბევრ უთქმელ განცდას ჰყვება და ხელოვანი ქალის მარტოსული თუ გულჩათხრობილი ცხოვრების თავგადასავალს აღწერს.

1922 წლის ოქტომბერში მან ბათუმის მეორე ტექნიკუმში ჩააბარა და 1923 წლის ივნისში დაასრულა. ამ ერთწლიანი სწავლებით მიიღო ატესტატი და მიენიჭა უფლება, რომ სწავლა უმაღლეს სასწავლებელში გაეგრძელებინა. როგორც ცნობილია, თამარ აბაკელია აღნიშნულ ტექნიკუმში ხატვასაც სწავლობდა, თუმცა მას სპეციალურად საგამოცდო კომისიაზე წარსადგენად მზადება არ გაუვლია. მან თავისი ნახატები წარადგინა მიმღები კომისიის წინაშე.

თამარ აბაკელიამ სტუდენტობისას ისწავლა და იმუშავა როგორც იაკობ ნიკოლაძესთან, ისე ნიკოლოზ კანდელაკთან. 1927 წელს ის საკუთარი სურვილით გადავიდა ნიკოლოზ კანდელაკის კლასში, რომელიც მონუმენტური ქანდაკების მიმართულებას წარმოადგენდა. ამიტომ მისი სპეციალიზაცია მოხდა მონუმენტური ქანდაკების მიმართულებით, რაც შემდგომში მის შემოქმედებით კარიერაზე მკაფიოდ აისახა. როგორც ამას მკვლევრებიც აღნიშნავენ, თამარ აბაკელიამ საქართველოში დანერგილი სკულპტურის განვითარების ორივე გზისთვის დამახასიათებელი ნიშნები შეითვისა: „იაკობ ნიკოლაძისგან თამარ აბაკელიამ ადამიანის სახეზე მისი სულის სიღრმის ამოკითხვის საიდუმლოება შეითვისა... ნიკოლოზ კანდელაკისაგან კი... ადამიანის სხეულის პლასტიკური სილამაზის შეცნობა ისწავლა“.[2]

თამარ აბაკელიას სტუდენტობისას, არაერთი ყოფითი ხასიათის პრობლემა ჰქონდა. საქართველოს ეროვნული არქივის ფონდებში დაცულ მის პირად საქმეში განთავსებულია განცხადებები, რომლებითაც ის სწავლის საფასურის მოხსნას ითხოვს. ფინანსური კუთხით იგი იძულებული გახდა გარკვეული დროით სწავლა შეეწყვიტა, კლასში აღდგენასთან დაკავშირებით კი მან წერილობით მიმართა სასწავლებელს. მისი თხოვნა განიხილეს და კლასში მალევე დააბრუნეს.[3] თუმცა ამით არ დასრულებულა მისი მატერიალური

1 პირადი საქმე. ფონდი 87, ამონაწერი 3, საქმე 1.

2 ფირალიშვილი, თამარ აბაკელია, 1956, გვ. 16.

3 თამარ აბაკელიას პირად საქმეს დართული აქვს განცხადება, რომლის მიხედვითაც შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია, იგი 1928 წლის 14 მარტს აღადგინეს კლასში და მიეთითა გადასახადი 20 მანეთი. პირადი საქმე, ფონდი 87, ამონაწერი 3, საქმე 1.

პრობლემები, სავარაუდოდ, მისთვის დიდ სირთულეს წარმოადგენდა სწავლის ღირებულების გადახდა, შესაბამისად, 1928 წლის 28 მარტს, უკვე მხატვარი ლადო გუდიაშვილის შუამდგომლობით, თხოვნით მიმართავს სასწავლებლის დირექციას, სადაც ცნობილი მხატვარი ითხოვს, რომ სტუდენტი თამარ აბაკელია სრულად გაათავისუფლონ სწავლის საფასურის გადახდისგან. შუამდგომლობაში, ლადო გუდიაშვილი აღნიშნავს აბაკელიას ნიჭიერებას. ის ხაზს უსვამს, რომ მის მიერ შესრულებული ოგიუსტ როდენის პორტრეტი, როგორც სამაგალითო, სამხატვრო აკადემიის კედელზევე ჰკიდია. მიუხედავად ამისა, სასწავლებელი სრულად არ ათავისუფლებს სტუდენტ თამარ აბაკელიას გადასახადისგან, არამედ უმცირებენ მას 10 მანეთამდე.[4]

1956 წელს გამოცემული ოთარ ფირალიშვილის მონოგრაფია თამარ აბაკელიას შემოქმედების შესახებ მეტ-ნაკლები სისრულით გადმოსცემს მხატვრის ცხოვრების ყველა ეტაპს: ბავშვობას, ახალგაზრდობას, სტუდენტობას და დამოუკიდებელ მხატვრულ მოღვაწეობას; ხსნის იმ კულტურულ პროცესებს, რომლებიც საბჭოთა ხელოვნებაში ხდებოდა და ციტირებს თამარ აბაკელიას დღიურიდან უმნიშვნელოვანეს ტექსტებს. ხელოვანი ერთგან წერს: „მე ბედმა მოხუცთა ჯგუფში მომაქცია, თუმცა მთელი გულითა და იდეებით ახალგაზრდებისკენა ვარ. ისინი თავისკენ მეწევიან... ვერ გადამიწყვეტია. არ მინდა მოხუცებმა მოღალატედ ჩამთვალონ. რა ყალბი თავმოყვარეობაა. უნდა გადავწყვიტო!“[5] - ამ პატარა აბზაცში მან მთელი თავისი ტრაგედია ჩაატია, რომელიც გულისტკივილით სავსე იყო. ცენზურის პირობებში გამოცემული მონოგრაფია ამ ნაწილს თავისუფლად ვერ ჩასვამდა, შესაძლოა, რომ მკვლევარი იზიარებდა კიდეც ახალგაზრდა ხელოვანის დამოკიდებულებას, თუმცა ტექსტში ცდილობს აბაკელიას სიტყვები „გაამართლოს“.[6] მიუხედავად ამისა, ამავე კატალოგში შეტანილია თამარ აბაკელიას სტუდენტობის დროს შესრულებული „შიშველი ქალის“ ეტიუდები. მათზე იგი ამბობს, რომ დღემდე შემორჩენილია,[7] ისინი მოჭიქული კერამიკის ნიმუშებია.[8] ოჯახის ახლობლების მონაყოლიდანაც მტკიცდება ვარაუდები ამის შესახებ, თამარ აბაკელიას ნათესავი ნინო აბაკელია ადასტურებს, რომ თამარ აბაკელიას პერსონალური გამოფენისთვის ნამუშევრები ოჯახიდან წაიღეს, მათ შორის იყო რამდენიმე შიშველი ფიგურაც, თუმცა დაზუსტებით ვერ იხსენებს როდის, სად და ვის მიერ მოეწყო ეს გამოფენა. ყველაზე სამწუხარო კი ის არის, რომ ნამუშევრები გამოფენიდან ოჯახში აღარ დაბრუნებულა.[9] იმასთან დაკავშირებით, რომ თამარ აბაკელია აქანდაკებდა შიშველი ქალის ტორსებს, მკვლევარ მარინე ფუთურიძის მონათხრობიც ადასტურებს. მარინე ფუთურიძის მამა, ინჟინერი შალვა ფუთურიძე მონაწილეობდა იტალიელ არქიტექტორ კარლო მორეტისთან და თამარ აბაკელიასთან ერთად „იმელის შენობის“ სამშენებლო-დეკორატიულ სამუშაოებში. კარლო მორეტის შესწავლილი ჰქონდა ქანდაკება და კარგად ერკვეოდა მის მხატვრულ პრინციპებში (რასაც აღნიშნავს ქალბატონი მარინე ფუთურიძე), შესაბამისად, იგი ვრცლად საუბრობდა თამარ აბაკელიას ქანდაკებრივ მანერაზე და აღნიშნავდა, რომ ის ძლიერი და ნიჭიერი ხელოვანი იყო. მისივე მოგონებაზე დაყრდნობით მარინე ფუთურიძე ამბობს, რომ თამარ აბაკელიას იმ დროისთვის შესრულებული ჰქონდა ქალის შიშველი ფიგურები, რომელთაც მალავდა და საზოგადოებაში არ აჩენდა.[10]

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტე-

4 ფონდი 87, ან. 3, საქმე 1.

5 ფირალიშვილი, აბაკელია, გვ. 22.

6 ავტორი მონოგრაფიაში წერს, რომ „სარმას“ საქმიანობაში თამარ აბაკელია მიმზიდველ პერსპექტივებს ხედავდა; ზოგიერთ საკითხში ასოციაციას არ ეთანხმებოდა, მაგრამ მაინც შეუერთდა და მისი აქტიური მონაწილე გახდა. იხ. ფირალიშვილი, ო. თამარ აბაკელია: მონოგრაფია, სახელგამი, თბილისი, 1956.

7 მონოგრაფია 1956 წელს გამოიცა და დადასტურებით შეგვიძლია თქმა, რომ ამ დროისთვის ეს ნამუშევრები ჯერ კიდევ არსებობდა, თუმცა დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ოჯახის მონათხრობზე დაყრდნობით, ისინი დაკარგული ან დამტვრეულია.

8 ავტორი ასახელებს სხვა ნაწარმოებებსაც: „მოხუცი“, „უცნობის ნიღაბი“, „ბიჭის თავი“ (ტერაკოტა - ეტიუდი) და „უცნობი მსახიობის პორტრეტი“ (პატენირებული თაბაშირი). იქვე, გვ. 17.

9 სატელეფონო საუბარი შედგა ჩემსა და ნინო აბაკელიას შორის 2020 წლის აპრილის თვეში.

10 სატელეფონო საუბარი შედგა ჩემსა და ქალბატონ მარინე ფუთურიძეს შორის 2021 წლის 8 მაისს, რა დროსაც მან აღნიშნული ინფორმაცია მომაწოდა.

რატურის მუზეუმში დაცულია მხატვრის პირადი არქივი, რომელიც ხელოვანის შემოქმედების სქემას ინახავს. აღნიშნულ მასალაში მოქანდაკე სტუდენტობის დროინდელ პერიოდს იხსენებს და ე.წ. ფორმალისტურ მიმართულებებზე ამბობს, რომ: „პირველ პერიოდში (როგორც ეს ყველა ახალგაზრდა ხელოვანს ახასიათებს) მქონდა ფორმალისტური გადახრები, მაგრამ მალე დავძლიე და ჩემი შემოქმედება რეალისტური მიმართულებით განვითარდა“.[11] საბჭოთა რეჟიმის დროის პირადი ჩანაწერებიც, რასაკვირველია, გაივლიდა მხატვრის მიერვე განხორციელებულ თვითცენზურას, შესაბამისად, ის გვერდს ვერ აუვლიდა შემოქმედების დახასიათებას ფორმალისტური მიმართულების კრიტიკის გარეშე. დღეს წარმოუდგენლად გვეჩვენება, ამგვარი კომპრომისი იმ შემოქმედის ხასიათის გათვალისწინებით, რომელიც ბავშვობაშივე აღნიშნავდა, რომ არ უყვარდა ერთფეროვნება და საკუთარ თავს თუ რაიმეს ერთსა და იმავეს შეატყობდა, ყოველთვის ცდილობდა გამოესწორებინა ეს, და სხვა მიმართულებით წასულიყო.[12]

მან, ისევე როგორც მრავალმა ხელოვანმა, ვერ შეძლო საბჭოთა იდეოლოგიზებული პოლიტიკური პროცესებისგან გამიჯვნა, რასაც ადასტურებს ზემოთ მისი გაწევრიანებაც მხატვრულ დაჯგფებაში „სარმა“.

საქართველოს მუზეუმების ფონდები[13] თამარ აბაკელიას შემოქმედებიდან რამდენიმე იმ დროის მოთხოვნათა ადეკვატურ სკულპტურულ კომპოზიციას ინახავს, განსაკუთრებით ცნობილია „შურს ვიძიებთ!“ - დედისა და გარდაცვლილი ბავშვის დრამატული ორფიგურიანი კომპოზიცია. რაც შეეხება, „იმელის“ ფასადის ბარელიეფებს. ამ ფიგურათა სტრუქტურული აგებულება, კუნთოვანი მასა, მოცულობა და მასშტაბი, პორტრეტულობა და კონკრეტიკა ენერგიულად და მძაფრად არის გადმოცემული. ვფიქრობ, „ნიუს“ ჟანრში შესრულებულ ფიგურათა ფოტო-მასალის არსებობის შემთხვევაშიც კი, ჩვენთვის შესაძლებელი იქნებოდა, გვემსჯელა აღნიშნული თემის აბაკელიასეული შემოქმედებითი გადაწყვეტის შესახებ, თუმცა სავარაუდოა, რომ მხატვრული ტექნიკა, ქანდაკების მასალასთან ხელოვანის კავშირი ძერწვით ხასიათს ატარებდა და შიშველ ქალთა სხეულების შინაგან სამყაროს, მის სულიერებას, სხეულთა გარეგან მკვრივ ფორმებთან სტრუქტურირებულ ერთიანობაში წარმოადგენდა.

თამარ აბაკელია საკუთრივ შემუშავებულ შემოქმედების სქემაში წერს, რომ მხატვრად ჩამოყალიბებისთვის საჭიროა შრომისმოყვარეობა და რომ მის საყვარელ თემას ადამიანის გამოსახვა, მოძრაობა და მოცულობითი ფორმების გადმოცემა წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ამ ჩანაწერების მიხედვით, ის უპირველესად თავს მოქანდაკედ მიიჩნევდა და აღნიშნავდა იმასაც, რომ ნახატებშიც კი ის ქანდაკებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მუშაობით ხატავდა: „ცნობილია ჩემი პირვანდელი ხატვა სანგინით. ნახატი სანგინით განსაკუთრებულ ლირიკულ რიტმს აძლევს ხაზს. შემდეგ სანგინას მე სხვა ფერებიც დავუმატე, მაგრამ ნახატის შეფერადებას კი არ ვაწარმოებდი, არამედ (ისევ ქანდაკების პრინციპით) ფერების საშუალებით სხეულის ფორმას გადმოვცემ“.

თამარ აბაკელიას არქივში დაცულ ერთ-ერთ დღიურში არსებობს ჩანახატები, რომლებშიც ჩანს მხატვრის ძლიერი ხელი და რეალისტური მხატვრობის პრინციპებისადმი ინტერესი, მათ შორის არის შესრულებული პეიზაჟი და ადამიანის შიშველი სხეულიც. მაგალითად გრაფიკულ ჩანახატში (სურ. 1) წარმოდგენილია თავისუფლად მჯდომარე ქალი და მის უკან მამაკაცი. მამაკაცის სხეული აღნიშნული პოზით კიდევ სხვა ჩანახატშიც აქვს შესრულებული (სურ. 2), ასევე ქალის მოძრაობაც გამეორებულია ამავე დღიურის სხვა გვერდებზე (სურ. 3). როგორც ჩანს, მხატვარი ერთსა და იმავე მოძრაობას და სხეულის მდგომარეობას ხშირად იმეორებდა პოზების და მოძრაობის სწორი დაფიქსირებისათვის. ზემოთ ნახსენებ სურათში ქალი ზის, ოდნავ მარცხნისკენ გადახრილად და ეყრდნობა მარცხენა ხელს, პროფილში გამოსახული სახის მზერა კი მარჯვენა მხარეს აქვს მიმართული. ამგვარად, სხეულის მდგომარეობა ბუნებრივიცაა და დამაჯერებელიც.

მოქანდაკის აღნიშნული ჩანაწერებიდან ისიც ირკვევა, რომ თამარ აბაკელია მუდმივად მუშაობდა

11 თამარ აბაკელიას შემოქმედების სქემა, ნომერი: 28012-6. გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

12 პირადი დღიური, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი.

13 საქართველოს ეროვნული მუზეუმი, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა.

ნატურაზე. იგი აღნიშნავდა, რომ ნატურაზე ბევრი მუშაობაა საჭირო. იმისათვის, რომ მისი შემოქმედება განვითარებულიყო: 1. სისტემატურად, ყოველდღიურად უნდა შეესწავლა და ეხატა ნატურა, 2. კრიტიკულად აეთვისებინა და აეხსნა ძველი დიდი ოსტატების (როგორც ქართველი ისე უცხოელი) მიერ შექმნილი შედევრები და 3. მუდმივი კავშირი ჰქონოდა ჩვენი ხელოვნების მოწინავე დარგთან, მხატვრულ ლიტერატურასთან, რადგან მხატვრული ლიტერატურა მუდამ იყო ხალხის სულის ბრძოლისა და სწრაფვის გამომხატველი.[14]

ამავე ჩანახატების კრებულში წარმოდგენილია რამდენიმე გრაფიკული ნახატი, რომლებიც ძირითადად ადამიანებს გადმოსცემს სხვადასხვა მოძრაობაში, ამასთან ერთად გვხვდება შავ ფანქარში შესრულებული მცირე ზომის პეიზაჟიც.

თამარ აბაკელიას შემოქმედების შესახებ რამდენიმე პუბლიკაცია და მონოგრაფია დაიწერა, რომლებიც მის შემოქმედების უმნიშვნელოვანეს მიღწევად „იმელის“ შენობის რელიეფურ გაფორმებას მიიჩნევს. სამწუხაროა, რომ საბჭოთა პერიოდში გამოცემულ ამ ოპუსებში, არაფერი ითქვა მოქანდაკის თავისუფალი სულის, ხელოვნების უანგარო მსახურებისადმი გამოხატული წყურვილის შესახებ, იმ დაუკმაყოფილებელი სურვილის შესახებ, რომლითაც შემოქმედი მუდმივად სიახლეს და თავისუფალ ცხოვრებას ესწრაფოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- აბაკელია, თამარ, ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება [ალბომი/წინასიტყვ. გერონტი ქიქოძე], თბილისი, 1941.
- ავალიანი, ლ. თამარ აბაკელია, როგორც მხატვარი გრაფიკოსი, ლიტერატურა და ხელოვნება, 1943, N8, გვ. 10.
- ანდრიაძე, დ. მხატვრის ჰერიოკულ-რომანტიკული იდეალი, საბჭოთა ხელოვნება, 1986, N12, გვ. 62-77.
- ბაჟანი, მ. ნაზი და ვაჟკაცური მხატვარი, საბჭოთა ხელოვნება, 1979. - N3. გვ. 3-8.
- ბერძენიშვილი, ე. თამარ აბაკელია, მნათობი, #6, 1964, გვ. 168-175.
- გაბუნია, გ. თამარ აბაკელია, მნათობი, #4, 1945, გვ. 155-157.
- მხატვარი, მოქალაქე, საბჭოთა ხელოვნება, N9, 1964. გვ. 9-12.
- ფირალიშვილი, ო. თ. აბაკელიას ბოლო დროის ქანდაკებები, ლიტერატურა და ხელოვნება, 1950, N24, 11 ივნისი.
- ფირალიშვილი, ო., თამარ აბაკელია, საბჭოთა ქალი, 1960, #2, 11-12
- ფირალიშვილი, ო. თამარ აბაკელია: მონოგრაფია, სახელგამი, თბილისი, 1956.
- შანიძე, ლ. ქართული საბჭოთა ქანდაკება, თბილისი, მეცნიერება, 1975.
- ჭილაძე, თ. თამარ აბაკელია, ცისკარი, 1963, #8, 137-139.
- ჯაფარიძე, გ. ცოცხალი და ღრმად ადამიანური, დროშა, 1963, #9, გვ. 10.
- Абакелия, Тамара Григорьевна, Творчество и репродукций произведении, Авт. текста Г. Джапаридзе. - М., Сов. художник, 1957.
- Большой художник, Открылась выставка работ Т. Абакелия, Вечерний Тбилиси, 1964,- 13 февраля.
- Джапаридзе, Гюльнара, Тамара Абакелия, Литературная Грузия, 1957, N6. стр. 105-109.
- Нацваладзе, Н. Живописец, скульптор, график, Вечерний Тбилиси, 1960, 1 сентября.
- Урушадзе, И. Мастер советского изобразительного искусства, Заря Востока, 1953, 17 май.
- Чикваидзе, Г. Многогранный художник. საბჭოთა ხელოვნება. - თბილისი, 1968. - N5. - გვ.70-71.
- Чубинашвили, Н. Рельефный фриз на фасаде здания филиала ИМЭЛС-а в Тбилиси, ქართული ხელოვნება, 1955, N4, стр. 55-60.

14 გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, თამარ აბაკელიას შემოქმედების სქემა, ნომერი: 28012-6. ლიტერატურასთან თამარ აბაკელიას შემხებლობა ყველასთვის ცნობილია არამხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებით, არამედ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა ილუსტრირებით და ასევე, სომხური მხარის დაკვეთით შესრულებული, სომეხთა ეროვნული ეპოსის „დავით სასუნცი“ ბრწყინვალე ილუსტრაციებით.

1. თამარ აბაკელია. კომპოზიცია. ფანქარი. თარიღი უცნობია
TAMAR ABAKELIA, COMPOSITION, PENCIL. UNDATED

2. თამარ აბაკელია. მჯდომარე მამაკაცი. ფანქარი. თარიღი უცნობია
TAMAR ABAKELIA, SITTING MAN, PENCIL. UNDATED

3. თამარ აბაკელია. მჯდომარე ქალის „ნიუ“. ფანქარი. თარიღი უცნობია
TAMAR ABAKELIA, SITTING WOMAN IN NU, PENCIL. UNDATED

5. თამა აბაკელია. პეიზაჟი. ფანქარი. თარიღი უცნობია
TAMAR ABAKELIA, LANDSCAPE, PENCIL. UNDATED

CHARACTERIZATION OF THE INITIAL STAGE IN TAMAR ABAKELIA'S WORK ACCORDING TO THE SCULPTOR'S DIARY

Sopio Papinashvili

Keywords: *Tamar Abakelia, Georgian woman painter, Tamar Abakelia's Personal case*
Illustrations: *pp. 315*

The Department of Sculpture was opened at the Tbilisi Academy of Fine Arts in 1922, headed by Iakob Nikoladze. Famous sculptors such as Giorgi Sesiashvili, Vakhtang Kotetishvili, Nino Tsereteli were studying there too. We should mention Tamar Abakelia, who studied in the class of Iakob Nikoladze, entering the Academy of Fine Arts in 1924 and graduating in 1930[1]. She died at a young age and could not long serve in her favorite profession.

Her interest in painting dates back to childhood, but she was constantly worried that her greatest desire to dedicate herself to painting would not come true. About Tamar Abakelia's personal case we find out what a difficult and time-consuming path the sculptor went through from childhood to becoming a professional. Her diary conveys many unspoken feelings and describes the adventures of a lonely, heartbroken life of an artist woman.

In October of 1922, she entered the 2nd Technical School of Batumi and graduated in June of 1923. With this one-year education she received a certificate and was given the right to continue her higher education studies. Tamar Abakelia also studied painting at said technical school, though did not prepare for submission to the special examination commission. She sent her drawings to the receiving commission.

Tamar Abakelia studied and worked with both Iakob Nikoladze and Nikoloz Kandelaki when she was a student. In 1927, she appealed to the Vice-Rector of the Academy of Fine Arts to transfer her to the class of Nikoloz Kandelaki, hence her specialization became the field of monumental sculpture, which later reflected clearly in her creative career. As researchers point out, she acquired the characteristic features of both ways of developing the sculpture introduced in Georgia: "Tamar Abakelia learned from Iakob Nikoladze how to discern the secret of questioning the depth of soul in the human's face... and from Nikoloz Kandelaki she learned the plastic beauty of the human body"[2].

When Tamar Abakelia was a student, she had a number of daily problems. In her personal file from the funds of the National Archives of Georgia, there are announcements requesting exemption from tuition fees. Financially, she was forced to drop out for some time, and afterwards she wrote to the school regarding his reinstatement. Her request was considered and she was soon returned to the class[3]. However, this did not end her material problems, it was probably a great difficulty for her to pay the tuition fee; so, on March 28, 1928, at the request of the artist Lado Gudiashvili, she applied to the school's management, in which the famous artist demands that student Tamar Abakelia should be fully exempt from tuition fees. In the petition, Lado Gudiashvili mentions Abakelia's talent, citing her portrait of Auguste Rodin hanging on the wall of the Academy of Fine Arts as an example. Nevertheless, the school does not fully exempt student Tamar Abakelia from the tax, but reduces

1 Personal Case. Fund 87, Extract 3, Case 1.
2 Piralishvili, O. Tamar Abakelia: Monograph, Sakhelgami, Tbilisi, 1956, p. 16 (In Georgian).
3 Tamar Abakelia's personal file is accompanied by a statement according to which the motion is granted, she was reinstated in the class on March 14, 1928 and a fee of 20 rubles was indicated. Personal Case, Fund 87, Extract 3, Case 1.

it to 10 rubles[4].

Otar Piralishvili's 1956 monograph on Tamar Abakelia's work more or less fully describes all stages of the artist's life: childhood, youth, student life and independent artistic activity; explains the cultural processes that took place in Soviet art and quotes the most important texts from Tamar Abakelia's diary. The artist writes: "I was lucky enough to be in the group of the elderly, but I am young with all my heart and ideas. They are drawing me in... and I cannot decide. I don't want them to take me for a traitor. What a false selfishness. I have to decide!"[5] In this small paragraph she, full of heartache, relates tragedy. Because of censorship, this section was unlikely to be included in the monograph; but, quite possibly, the researcher even shared the attitude of the young artist, so his text tries to "justify" Abakelia's words[6]. Nevertheless, the same work includes the sketches of Nude Woman by Tamar Abakelia from her student days. Piralishvili says that these are samples of glazed pottery[7] that have survived[8]. Nino Abakelia, a relative of Tamar Abakelia, confirms that works for Tamar Abakelia's personal exhibition were taken from the family, including some nude figures, but she does not remember exactly when, where and by whom the exhibition was organized. The most unfortunate thing is that the works have not been returned to the family from the exhibition[9]. The story of Tamar Abakelia sculpting the torso of a naked woman is also confirmed by researcher Marine Puturidze, whose father, engineer Shalva Futuridze, together with Italian architect Carlo Moretti and Tamar Abakelia, participated in the construction and decoration of the IMELI building. Carlo Moretti had studied sculpture and was well versed in its artistic principles (as noted by Marine Puturidze), so he spoke extensively about Tamar Abakelia's sculptural style and noted that she was a strong and talented artist. Based on his recollections, Marine Puturidze said that Tamar Abakelia sculpted nude figures of a woman at that time, which she hid from the public[10]. Giorgi Leonidze State Museum of Literature preserves the artist's personal archive reflective her artistic path. In these materials, the sculptor recalls her student days and so-called formalistic trends: "In the first period (as it characterizes all young artists) I had formalistic deviations, but soon I overcame them and my creativity developed in a realistic direction."[11] The diaries from the Soviet regime, of course, also went through self-censorship, therefore she could not avoid criticizing the formalist direction. It seems unbelievable today that such a compromise given the character of the artist, who as a child stated that she did not like monotony and found herself in the same situation, always trying to correct it, and going in another direction.[12] She, like the many artists, could not separate herself from Soviet ideological, political processes, as confirmed above by her membership in the artistic group Sarma.

The Georgian Museums[13] preserve several of Tamar Abakelia's works meeting the demands of that time, especially the one known as We Will Have Our Revenge, a dramatic two-figure composition of a mother and her dead child. As for the bass-reliefs of the IMELI facade, its figures feature vivid structural construction, muscle mass, volume and scale, portraiture and specificity. Even with photos of nude figures hypothetically avaliable, it would be possible for us to discuss Abakelia's creative

4 Fund 87, Extract 3, Case 1.

5 Piralishvili, O. Tamar Abakelia: Monograph, Sakhelgami, Tbilisi, 1956, p. 22 (In Georgian).

6 The author writes in the monograph that Tamar Abakelia saw attractive perspectives in the activities of "Sarma"; She disagreed with the association on some issues, but still joined and became an active participant. - Piralishvili, O. Tamar Abakelia: Monograph, Sakhelgami, Tbilisi, 1956.

7 The author also names other works: "Old Man", "Mask of the Unknown", "Boy's Head" (Terracotta - Etude) and "Portrait of an Unknown Actor" (patented plaster). Ibid., P. 17.

8 The monograph was published in 1956 and we can say with confirmation that at this time these works still existed, however, given the current situation, based on the family narrative, they are lost or broken.

9 A telephone conversation took place between me and Nino Abakelia in the month of Apil 2020.

10 A telephone conversation took place between me and Mrs. Marine Puturidze on May 8, 2021, during which she provided me with this information.

11 Tamar Abakelia's creative scheme, number: 28012-6. Giorgi Leonidze State Museum of Literature.

12 Personal diary, Giorgi Leonidze State Museum of Literature

13 Georgian National Museum, Shalva Amiranashvili State Museum of Art, Dimitri Shevardnadze National Gallery.

solution to this topic. Although we see the artistic technique and her connection with sculptural material in her modeling process in clay and how she showed the inner world of naked women represented in structured unity with the forms of the external bodies.

Tamar Abakelia writes in her own creative plan that it takes hard work to become an artist and that her favorite theme is the depiction of a person, movement and the transmission of voluminous forms. Notably, according to these records, she primarily considered herself a sculptor and also noted that even in the paintings she painted with a specific characteristic of sculpture: "My original painting with sanguine is well known. Drawing with sanguine lends a special lyrical rhythm to the line. Then I added other colors to Sanguine, but I did not color the painting, through (again based on the principle of sculpture) I used colors to convey the shape of the body."

One of the diaries preserved in Tamar Abakelia's archive preserves sketches showing the artist's strong hand and interest in the principles of realistic painting, including landscapes and nude bodies. For example, a graphic sketch (Fig. 1) shows a woman sitting freely and a man behind her. The same pose of the male body is performed in this diary in another sketch (Fig. 2). The woman's movement is also repeated on other pages of the same diary (Fig. 3). It seems that the artist often repeated the same movement and body position for correct fixation of postures and movements. In the picture above, the woman is sitting, leaning slightly on her left hand, while the face in the profile is pointing to the right. Thus, the condition of the body is both natural and convincing.

It is also clear from the sculptor's journal that she was constantly working with models. She noted that a lot of work on models is needed to develop the work process: 1. She had to study and paint model systematically, on a daily basis, 2. Critically explain the masterpieces created by great masters (both Georgian and foreign) and 3. Have a constant connection with the advanced field of our art, literature, because it has always been an expression of the struggle and aspiration of the people.[14]

The same collection of sketches presents several graphic drawings that mainly convey people in different movements, in addition to a small landscape painted with a black pencil.

Several publications and monographs have been dedicated to Tamar Abakelia's work, which consider the relief decoration of the IMELI building to be the most important achievement of her work. It is unfortunate that in these opuses published during the Soviet period, nothing was said about the sculptor's free spirit, her thirst for selfless service to art, her unfulfilled desire for a constant novelty and free life.

REFERENCES:

- აბაკელია, თამარ, ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება [ალბომი/წინასიტყვ. გერონტი ქიქოძე], თბილისი, 1941.
- ავალიანი, ლ. თამარ აბაკელია, როგორც მხატვარი გრაფიკოსი, ლიტერატურა და ხელოვნება, 1943, N8, გვ. 10.
- ანდრიაძე, დ. მხატვრის ჰერიოკულ-რომანტიკული იდეალი, საბჭოთა ხელოვნება, 1986, N12, გვ. 62-77.
- ბაჟანი, მ. ნაზი და ვაჟკაცური მხატვარი, საბჭოთა ხელოვნება, 1979. - N3. გვ. 3-8.
- ბერძენიშვილი, ე. თამარ აბაკელია, მნათობი, #6, 1964, გვ. 168-175.
- გაბუნია, გ. თამარ აბაკელია, მნათობი, #4, 1945, გვ. 155-157.
- მხატვარი, მოქალაქე, საბჭოთა ხელოვნება, N9, 1964. გვ. 9-12.
- ფირალიშვილი, ო. თ. აბაკელიას ბოლო დროის ქანდაკებები, ლიტერატურა და ხელოვნება, 1950, N24, 11 ივნისი.
- ფირალიშვილი, ო., თამარ აბაკელია, საბჭოთა ქალი, 1960, #2, 11-12.
- ფირალიშვილი, ო. თამარ აბაკელია: მონოგრაფია, სახელგამი, თბილისი, 1956.
- შანიძე, ლ. ქართული საბჭოთა ქანდაკება, თბილისი, მეცნიერება, 1975.

14 Giorgi Leonidze State Museum of Literature, Tamar Abakelia's creative scheme, number: 28012-6. Tamar Abakelia's approach with literature is known not only for her illustrations of "The Panther's Skin", but also in the illustrations of Vazha-Pshavela's works and also for the brilliant illustrations of the Armenian national epic "Davit Sasuntsi" (David of Sassoun) commissioned by the Armenian side.

- ჭილაძე, თ. თამარ აბაკელია, ცისკარი, 1963, #8, 137-139.
- ჯაფარიძე, გ. ცოცხალი და ღრმად ადამიანური, დროშა, 1963, #9, გვ. 10.
- Абакелия, Тамара Григорьевна, Творчество и репродукций произведении, Авт. текста Г. Джапаридзе. - М., Сов. художник, 1957.
- Большой художник, Открылась выставка работ Т. Абакелия, Вечерний Тбилиси, 1964,- 13 февраля.
- Джапаридзе, Гюльнара, Тамара Абакелия, Литературная Грузия, 1957, N6. стр. 105-109.
- Нацваладзе, Н. Живописец, скульптор, график, Вечерний Тбилиси, 1960, 1 сентября.
- Урушадзе, И. Мастер советского изобразительного искусства, Заря Востока, 1953, 17 май.
- Чикваидзе, Г. Многогранный художник. საბჭოთა ხელოვნება. - თბილისი, 1968. - N5. - გვ.70-71.
- Чубинашвили, Н. Рельефный фриз на фасаде здания филиала ИМЭЛС-а в Тбилиси, ქართული ხელოვნება, 1955, N4, стр. 55-60.